ხაშურის მოამბე

№10 (432) 13 მარტი, ოთხშაბათი, 2024 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 მარტს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა 9 საკითხი განიხილეს.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულომ ცვლილებები შეიტანა რამდენიმე ადრე მიღებულ დადგენილებაში.

საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერიას სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-სთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 16 კვმ მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზურფურტით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ამავე სხდომაზე იმსჯელეს და დაამტკიცეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების საფუძველზე, 2024 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოციალურ-ეკონომიკური პროექტების და ამ პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების ნუსხა.

სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა, მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად.

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქ ხაშურში წყლისა და წყალარინების თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურას აშენებს.

მიმდინარე სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ალექსანდრე თევდორაძე, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში მიხეილ შაყულაშვილი, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, AFD-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული სააგენტოს ხელმძღვანელი ფანი დელპი და ევროკავშირის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

მასშტაბური პროექტი რამდენიმე ლოტისგან შედგება. პირველი ლოტის ფარგლებში ქალაქის ცენტრალური ნაწილში აშენდება წყალარინების და მთლიანი ქალაქის წყალმომარაგების ქსელი. 2025 წლის ბოლოდან დაგეგმილია ქ.ხაშურის მოსახლეობის 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

დღეის მდგომარეობით, აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგებისა დაწყალარინების ქსელების მოწყობის სამუშაოები. 200 კმ-იანი ქსელიდან დასრულებულია წყალმომარეგების ქსელის დაახლოებით 80 კმ მოწყობა. სამშენებლო სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანია JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad.Tic. A.S. ახორციელებს.

პარელელურად მიმდინარეობს ქალაქ ხაშურში სასმელი წყლის მოპოვების ობიექტებისა (სათავე ნაგებობი, სატუმბო სადგურების, წნევიანი მაგისტრალებისა და რეზერვუარების) და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობის სატენდერო პროცედურები, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

ამასთანავე, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტით გათვალისწინებული ენერგოეფექტურობის კომპონენტის ფარგლებში, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა მზის პანელები.რაც შეამცირებს შემდგომში ელექტროენერგიის ხარჯს.

ამასთანავე, დაგეგმილია ქ. ხაშურის წყალარინების ქსელების განვთარების მეორე ეტაპის სამუშაოები, რომელის ფარგლებშიც აშენდება ქალაქის დარჩენილ ნაწილიში წყალარინების ქსელი.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის მხარდაჭერითა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით 330 მლნ. ლარზე მეტი მოხმარდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 2024 წელი

№	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	ა ლ ი	ალი	სანიაღვრე სისტემის მოწყობა	20 000,00
2		ბრილი	სანიაღვრე არხის მოწყობა	12 000,00
3		ახალუბანი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
4		დუმაცხოვი	ბეტონის გზისმოწყობა	10 000,00
5		ზემო აძვისი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
6		კლდისწყარო	ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00
7		ცხეთოჯვარი	სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა	10 000,00
8		უწლევი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
9		ნაბახტევი	ბეტონის საფარის მოწყობა	16 000,00
10		ქინძათი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა	12 000,00
			ჯამი:	**120 000,00**
11	**გომი**	გომი	ძველი საწრეტი არხის რეაბილიტაცია (გაწმენდა)	20 000,00
12		ხიდის ყური	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	10 000,00
		ვაყა	საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია	20 000,00
14		ქვემო აძვისი	სანიაღვრის მოწყობა	10 000,00
15		დიდი სატივე	ხიდის მოწყობა	12 000,00
16		პატარა სატივე	ლიანდაგის ქვევით გასასვლელში - გვირაბში გასასვლელი არხის გაწმენდა	10 000,00
		აგარები	მინი სტადიონის მოწყობა	10 000,00
			ჯამი:	**92 000,00**
18	**ოსიაური**	ზემო ოსიაური	შუა უბანში დასასვენებელი სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა	20 000,00
19		ქვემო ოსიაური	"ბატონის ბაღის" სკვერში 3 ერთეული ფანჩატურის მოწყობა	16 000,00
20		ახალსოფელი	სპორტული ტრენაჟორების მოწყობა	10 000,00
21		ნარუჯები	შიდა სასოფლო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00
22		ღუდა	სოფელში მისასვლელი გზის ერთერთ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა	10 000,00
			ჯამი:	**66 000,00**
23	**დაბა სურამი**	დიდი ბეკამი	სანიაღვრეების მოწყობა	10 000,00
24		პატარა ბეკამი	მათიაშვილების უბანში სანიაღვრის მოწყობა	12 000,00
25		ურთხვა	სკვერის განახლება	10 000,00
26		ზეკოტა	გზის დაგება ბეტონის საფარით	10 000,00
27		ბოჯნისი	სკვერის მოწყობა	12 000,00
28		დაბა სურამი	მდინარე სურამულაზე შავბოგირთან და იტრიის სკოლასთან დამცავი მოაჯირების მოწყობა	20 000,00
			ჯამი:	**74 000,00**
29	**ფლევი**	დიდი ფლევი	ატრაქციონების მოწყობა	12 000,00
			მოსაცდელის მოწყობა	
30		პატარა ფლევი	გარე ტრენაჟორების მოწყობა	10 000,00
			მოსაცდელის მოწყობა	
31		ნაცარგორა	მოსაცდელის მოწყობა	12 000,00
			ატრაქციონების მოწყობა	
		ტკოცა	ატრაქციონების მოწყობა	16 000,00
			გარე ტრენაჟორების მოწყობა	
			ჯამი:	**50 000,00**
33	**ქვიშხეთი**	ქვიშხეთი	ბეტონის გზის დაგება (კოშკის უბანი)	20 000,00
34		ტაშისკარი	მინი სტადიონის მოწყობა	12 000,00
35		მონასტერი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00
		ბეღლეთი	ბეტონის გზის დაგება - გაგრძელება და სანიაღვრე არხის მოწყობა	10 000,00
37		ბულბულისციხე	სასაფლაომდე მისასვლელი გზის ეტონება, სანიაღვრე მილხიდი 1000-იანი	10 000,00
38		სათივე	გარე განათების მოწყობა და სარეკრეაციო სივრცის მოწყობა	10 000,00
39		სარმანიშვილისკარი	ფანჩატურის მოწყობა	10 000,00
40		ტეზერი	საბავშვო გასართობი სივრცის მოწყობა - სკვერი (კოშკის ტეზერი)	16 000,00
		ყიფიაანთუბანი	საბავშვო სკვერის მოწყობა (ქვედა უბანი)	12 000,00
42		სავანისუბანი	შიდა გზის ბეტონის საფარის მოწყობა	12 000,00
43		რუსაანთუბანი	ბეტონის გზის დაგება და ბეტონის კედლის ჩასხმა	10 000,00
			ჯამი:	**132 000,00**
44	**ცხრამუხა**	ცხრამუხა	სკვერში ატრაქციონების შეკეთება და ახალი სკამების შეძენა	20 000,00
45		თაგვეთი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
46		რბონა	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
47		დამჩხეულა	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
48		ქაშვეთი	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
49		ჯვართმუხა	ბეტონის გზის მოწყობა	10 000,00
50		კოდისწყარო	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	10 000,00
			ჯამი:	**80 000,00**
51	**ცოცხნარა**	ქემფერი	საბავშვო ატრაქციონისა და ფანჩატურის შემოღობვა, მისასვლელი ბილიკის მოწყობა	12 000,00
			ფანჩატურის მოწყობა	
52		ცოცხნარა	სანიაღვრე არხის მოწყობა	12 000,00
53		წაბლოვანა	გზის მოხრეშვა	10 000,00
55		ცედანი	შიდა საუბნო გზის მოხრეშვა	10 000,00
56		ომისი	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00
		ცივწყარო	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00
			ჯამი:	**64 000,00**
57	**წაღვლი**	წაღვლი	სოფლის შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების გაგრძელება	16 000,00
58		კლდისწყარო	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა	10 000,00
59		ქვემო ბროლოსანი	სანიაღვრე არხების მოწყობა	10 000,00
60		ზემო ბროლოსანი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება	10 000,00
		ჩორჩანა	მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების დაწყება	10 000,00
62		წეღვერი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების დასრულება	10 000,00
		ტიტვინისწყარო	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება	10 000,00
			ჯამი:	**76 000,00**
	წრომი	წრომი	სკვერის მოწყობა	12 000,00
66		ახალშენი	სანიაღვრის მოწყობა	10 000,00
67		ნადარბაზევი	ბეტონის გზის დაგება	10 000,00
68		იმერლიანთკარი	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	10 000,00
		დიდი ყელეთი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	10 000,00
70		პატარა ყელეთი	ბეტონის საფარის დაგება	10 000,00
			ჯამი:	**62 000,00**
71	**ხვისი**	ხვისი	ზედა უბნის წყარომდე გზის მოასფალტება	16 000,00
		მიწობი	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და არსებულ წყლის სისტემაზე მიერთება	12 000,00
		კრისხევი	არსებულ მინისტადიონზე ხელოვნური საფარის მოწყობა	10 000,00
			ჯამი:	**38 000,00**
74	**ხალები**	დიდი ხალები	ბეტონის საფარის მოწყობა - გაგრძელება	10 000,00
75		პატარა ხალები	ბეტონის საფარის მოწყობა - გაგრძელება	10 000,00
76		ღართა	ბეტონის საფარის მოწყობა - გაგრძელება	10 000,00
77		სარტყელა	სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია და გზის გარკვეული მონაკვეთების მოხრეშვა	10 000,00
79		ღვრიაწყალი	ბეტონის საფარის მოწყობა - გაგრძელება	10 000,00
			ჯამი:	**50 000,00**
			სულ ჯამი:	**904 000,00**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას, შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირებას. სამსახურში დასაქმებულია 9 მოსამსახურე, მათ შორის 2 შტატგარეშე მოსამსახურე.

ხაშურის მუნიციპალირტეტში 2023 წლის 9 თვეში განსახორციელებული/ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებამ შეადგინა 6 451 882 ლარი (თანადაფინანსება 347 207 ლარი):

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

ქ.ხაშურში ტაბიძის ქ. არსებული პარკის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტება (მიმდინარე);

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საუძველზეე დაფინანსება შეადგენს 759 065 ლარი (თანადაფინანსება 39 951 ლარი):

სოფელ ბულბულისციხემდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე)

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 13 316 500 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. წარმოგიდგენთ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს:

დიდი და პატარა სატივეში გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფ. ბიჯნისამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ურთხვაში გზის (I და II მონაკვეთი) მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში კიკნაძის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალრება (დასრულდა);

სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფ. ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ყიფიანთუბანში გზის მოწყობა (დასრულდა);

გზებზე ორმოულების სამუშაოების (პირველი ეტაპი) წარმოება (დასრულდა);

ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ახალუბანში მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობა (დასრულდა);

ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში სტადიონის მოწყობა (მიმდინარე);

სოფ. ტეზერში სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (მიმდინარე);

ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში გორგასლის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა (დასრულდა);

დაბა სურამში გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა N43-ში (ბმა „ერთობა“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია (მიმდინარე)

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩა N86-ში (ბმა „იმედი“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ზემო ოსიაურში, მინი სტადიონის და ატრაქციონების მოწყობა (დასრულდა);

დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩაზე მინი სტადიონის და ატრაქციონების მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის N8-ში ბმა ,,ჩვენი ეზო”-ს ღობის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ L=307.0 მ) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ L=260.0 დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, ტურისტული ცენტრის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, პუშკინის სკვერის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ცოცხნარაში, წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

„ქალაქ ხაშურში; თევდორე მღვდლის ქუჩაზე გარე გამოყენების ტრენაჟორების და ფანჩატურის მოწყობის“ და „სოფელ ზემო ოსიაურში ფანჩატურის მოწყობის“ სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ლითონის 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ალში და სოფელ ბრილში სანიაღვრე არხის და ნაპირდამცავი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში რუსთაველის და აღმაშენებლის ქუჩაზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე N34 მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ სადრენაჟე სისტემის მოწყობა (დასრულდა);

აზარმაში არსებული წყაროს განახლება/მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში მანათობელი ბანერების ე.წ. „ლაითბოქსის“ მოწყობა (დასრულდა);

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორმოულის შეკეთების (მეორე ეტაპი) სამუშაოები (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, პროფესიული სასწავლებლის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულდა);

სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბნის მიმდებარედ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა-რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა N1-ში (ს.კ. 69.08.58.260) ორგანიზაციის ,,ა(ა)იპ ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის” ფართის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ქვიშხეთში, ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულება) დაფინანდა - 74 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენსს 904 000 ლარს (თანადაფინანსება - 1 49 000 ლარი).

ასევე მიმდინარეობს :

ქ. ხაშურში, იუსტიციის სახლის მშენებლობა 4 300 000 ლარი.

ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია

უახლოეს პერიოდში დაიწყება დაბა სურამში და სოფელ ცხრამუხაში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება.

გიორგი პაპიაშვილი,
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4,5,6,7,8,9)

გომის სათემო საკრებულო

სოფელი ა გ ა რ ე ბ ი

დომენტის ნაკვეთი - ადგ., სახნავი ზედა და ქვედა უბნებს შორის. ,,დომენტი თიბილაშვილს ეკუთვნოდა. რევოლუციონერი იყო, ზნაურ აიდაროვის რაზმში იბრძოდა.“

ზედა უბანი – ადგ., უბანი დასავლეთის მხარეს. აქ ცხოვრობდნენ გვარები: ჩოჩიშვილი, ქოჩიშვილი, ელბაქიძე, გობოზაშვილი, ქოქოშვილი.

იოსას მუხა – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,დიდი მუხა იყო იოსებ (იოსა) ქელეხსაშვილის ნაკვეთში და ამიტომ ეძახდნენ.“

კორდი – ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,მტკვრის პირზეა, აქ თავს ვუყრით საქონელს, როგორც ზედა, ასევე ქვედა უბნიდან. ბუჩქნარია. მოუხნავი, დაუმუშავებელი ადგილი იყო.“ ,,უნამუშავრო მიწა. უმუშაკო მიწა მწვანე“.

მიწობის ჭალები – ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,მტკვრის გაღმა მხარეა, ჩვენს კოლმეურნეობას ეჭირა.“

მუხნარი – ადგ., მუხის კორომი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ ძველათ სასაფლაო იყო. წყალი ამოდიოდა და ახალი სასაფლაო წმინდა გიორგის ეკლესიასთან მოაწყვეს“. ქვედა უბანი - ადგ., უბანი აღმოსავლეთის მხარეს. აქ ცხოვრობდნენ გვარები: თიბილაშვილი, ქელეხსაშვილი, ფარასტაშვილი, ხარებაშვილი.

წმინდა გიორგი – ადგ., სალოცავი, ეკლესია ჩრდილოეთის მხარეს. ,,ეს ეკლესია აგარებს ეკუთვნის, სატიველებიც მოდიან აქ.“

სოფელი გ ო მ ი

ბლოკის საამქრო – ადგ., ბლოკის ქარხნის საამქრო გომში.

გადაღმა უბანი – უბანი.

გადაღმა წისქვილის ნაკვეთი - ადგ.,სათესი. 1939 წლის 12 აპრილის გაყრის განაჩენით ნაკვეთი ერგო გორა, სიმონ და ლევან თედიაშვილებს.

გადმოღმა უბანი – უბანი.

გოხები – ადგ., საძოვარი.

დაღალულა - ადგ., სალოცავი, ნასოფლარი, მინდორი, სახნავი, სათესი აღმოსავლეთის მხარეს. ალის წყალი ,,...ერთვის მტკუარს ჩრდილოდამ. ამის შესართავთან არს დაღალულა”(ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 376). ,,ხოლო კუალად წრომის ჩრდილოს, მტკუარის კიდესა ზედა არს, დაღალულა მინდორი, და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი. ზამთარ პირუტყვთა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინველთა სხუადასხვათა სავსე, გარნა ზაფხულს გაუძლისი” (იქვე, გვ. 346). ნასოფლარი, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მდებარეობს დღევანდელი სოფლების _ წრომისა და გომის შუა, მდ. მტკვრის აუზში.

ვახუშტი ბატონიშვილს ორი დაღალულა აქვს დატანილი რუკაზე. იგი წერს: `ხოლო ფცის-წყლის დასავლეთით არს ალის-წყალი, გამოსდის ლიხის მთას, მოდის სამხრით, ერთვის მტკუარს ჩრდილოდამ. ამის შესართავთან არს დაღალულა~.

პროფ. ალ. ღლონტის აზრით, დაღალულა დღევანდელი სოფ. გომის ძველი სახელწოდებაა, რაც არასწორად მიგვაჩნია. დაღალულა და გომი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ და ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე დაღალულასთან ერთად, თითქმის იმავე მიდამოებში დატანილი აქვს ორი გომი. გომის აღმოსავლეთით მუხნარის (ისტორიული სურამის ჭალის შემორჩენილი ნაწილი) მიმდებარე ვრცელ ტერიტორიას დაღალულას მინდორს უწოდებენ. აქვეა კოშკის ნანგრევებიც.

დაღალულა, ამავე დროს, ვახუშტის მიხედვით, არის ისტორიული სურამის ჭალის საზღვარი: `...არს ჭალა სურამისა, მტკურის კიდესა, დაღალულადან შოლამდე~.

აქ ჭალის მსგავსიც არის: „გორიდამ დამჩხერალომდე ფლატოიანი და ჭალიანია, ვითარცა დაღალულა“.

იოანე ბატონიშვილი დაღალულას არ აფიქსირებს. როგორც ჩანს, მის დროს ეს სოფელი უკვე მოშლილია.

ხალხში გავრცელებული თქმულებით, თამარ მეფის ჯარი ბრძოლიდან რომ ბრუნდებოდა, მუხნარი უნახავთ, დაღლილებს აქ შეუსვენიათ და ,,დაღალულაც” ამიტომ დაურქმევიათო.

მკვლევარ ვ. სიდამონიძის მიხედვით, დაღალულა მინდორი ძველთაგანვე ურწყავი იყო, ჰავა ზაფხულში – ცხელი, როგორც ვახუშტი ამბობს, გაუძლისი. აქ ზაფხულობით გვალვა იცის, ხალხის წარმოდგენით, ამ მინდორში, რადგან გვალვიანი და უწყლო იყო, მიწა გამოიფიტა, დაიღალა და მოსავალს იმდენს აღარ იძლეოდა, როგორც წინათ. ამიტომ ხალხმა ამ მინდორს სახელად ,,დაღალულა მინდორი” უწოდა.

დაღარულა - ადგილი.

კორდი – ადგილი. “ძველად აქ კაკლის ხეები იდგაო”.

კოშკები – ადგ., სათესი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ არის კოშკის ნანგრევები“. მტკვრისნაპირები – ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს.

მუხის ნაკვეთი – ადგ., სათესი

მუხნარი – ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს.

ნაგომარი – ადგილი

ნასერალი – ადგ., სათესი.

ნაფეტვარი – ადგ.,სათესი, ტყე.

ნაწისქვილარი – ადგილი

სომანეთი – ადგ., ნასოფლარი, სალოცავი.

ფოშტის გზა – გზა

ქვიშის გზა – გზა, სამხედრო გზა

ღვთისმშობელი – ადგ., სალოცავი აღმოსავლეთის მხარეს.

შავი აღმართი - ადგილი

სოფელი ვ ა ყ ა

ალილაშვილის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში (სცსსა, ფ.1450-2/26).

არტემას წყარო - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს.

აღალოიანი – ადგილი.

აძვისის ფართობი – ადგ., სათესი დასავლეთის მხარეს.

ბარათაშვილები – უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

გაღმა სერი – ადგ., გორა

გოგბერაული – ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,აქ ხეხილის ბაღი იყო ადრე, ვაშლი იყო გაშენებული”.

გოხები – ადგ., საძოვარი.

გულაბაშვილის მამული - ადგილი; დ ა ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი ა ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

დაღალულა – ადგ., ნასოფლარი, სახნავი, საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,არაბებმა რომ ირძოლეს, აქ მოვიდნენ, დაღლილები იყვნენ და ადგილს სადაც დაისვენეს დაღალულა დაარქვეს”.

დაღალულის ხოდაბუნი - ადგილი; ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის 1 სექტემბრის გაყრის განაჩენით სომანეთს ,,...მდივანს ყარანს უწინდელს ბარათს გარდა დაღალულის ხოდაბუნის გვერდზე [ერგო] ჯამფირაშვილის მიწა“.

დერგვისები//თერგვისები – ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,სოფელი იყო და გადაასახლეს 1943 წელს ახალციხეში, აგარაში. თერგვისზე უნდა წავიდეთ სათოხნათაო, - ვიტყოდით ხოლმე”.

დიდი მიწა - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

ვაყულა – მდ. ვაყაში. ,,დასაწყისში ამ მდინარეს ჭერათხეულას ეძახიან.“

ზესელაშვილის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში .

თეთრი მიწები – ადგილი

თიხიანები – ადგ., ნამოსახლარი დასავლეთის მხარეს. ,,ხვნის დროს ამოდის დუღაბიანი ქვები”.

თოფის საფერავები – ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ თოფებს ფერავდნენ”.

თოშაანი – ადგილი

კოდის მხარე – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,კოდა სოფელია“.

კოშკები – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბატონს ეჭირა ძველად. აგებული ჰქონდა კოშკი. თუ გაავდრდებოდა, შვიდი უღელი ხარი თავსდებოდა კოშკში”.

კრუჩკიანთუბანი – უბანი აღმოსავლეთ ნაწილში. ,,აქ აკოფოვები ცხოვრობენ“.

კოხორი – ადგ., ტყე

ლუკაანთ მიწები – ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ლუკა ბატონი იყო, ბეგთაბეგიშვილი, და ეს მიწები მას ეკუთვნოდა”.

მანაანთნასახლარი – ადგილი

მეზურნიანთუბანი – უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. ,,აქ მეზურნიშვილები ცხოვრობენ“

მელიქშაური - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

მერიშაო – ადგ., სათესი

მოსიაშვილები – უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

ნაბაღარი – ადგილი. 1944 წლის 18 დეკემბრის გაყრის განაჩენით ნაკვეთი წილად ხვდა ბეჯან ბარათაშვლს.

ნადირაშვილები – უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში.

ნაზარასშვილის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

ნანაანთი – უბანი

ნატბეური – ადგ., სათესი.

ორგორები – ადგ., გორა

ორსაქცევის ხოდაბუნი - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

ოსეფაანთუბანი – უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ,,აქ არუთინოვები ცხოვრობენ“.

ოქოტაშვილის მიწა - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

პატარა სატივე – უბანი.

პერანგა - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში .

რაჭველების უბანი – უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში. ,,რაჭიდან არიან ჩამოსულები, შერაზადიშვილები ცხოვრობენ“.

სააძვისო- ადგ., სათესი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

საკიდო – ადგილი

სამებისო – ადგ., სათესი.

სამოხისო – ადგილი

საფლევო//ხვედაბუნი – ადგ., სახნავი ჩრდილო- დასავლეთის მხარეს. ,,ფლევის მხარეს არის. საფლევოს მხარეს მივდივარო, ვიტყოდით როცა საქონელს სამწყემსურში გავრეკავდით”.

საფრიმიწები – ადგ., სათესი

საცდელი ბაღი- ადგ., ბაღი სამხრეთის მხარეს.

სომანეთი - ადგ., ნასოფლარი, სახნავი, სათესი, საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ნასოფლარი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ალის ფრონეს (ჭერათხევის) ხეობაში. ქართულ და სპარსულენოვან საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან მოიხსენიება.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ საჟინიანი ხაშურელ გულშემატკივრებს შეხვდა

7 მარტს, „ივერიის“ სტადიონზე, საფეხბურთო მატჩის წინ, MMA-ს ხაშურელი მებრძოლი, მიხეილ საჟინიანი GFC-ს მსოფლიოს ჩემპიონის ქამრით ხაშურის სტადიონზე წარსდგა.

აღსანიშნავია, რომ „ჩოხოსნებმა“ მიხეილი ქართული ტრადიციის მიხედვით ცეცხლოვანი ხმლების რიგში გაატარეს.

ხაშურელ სპორტსმენს მაყურებელი ოვაციებით შეხვდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდა.

მდინარე შოლა იწმინდება

ა(ა)იპ “ხაშურსერვისი” აგრძელებს შოლას გაწმენდის სამუშაოებს. პარალელურად, მიმდინარეობს სასმელი წყლის ჭების გაწმენდა-დაქლორვის პროცედურები.

ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს.

„უმნიშვნელოვანესია თითოეული თქვენგანის წვლილი სასკოლო კლიმატის გაჯანსაღების, პრევენციული მიმართულების გაძლიერებისა და სასკოლო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მადლობას გიხდით იმ პროფესიონალიზმისთვის, რაც ყოველთვის საგრძნობია ჩვენს შვილებთან, პედაგოგებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისას,“- აღნიშნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

8 მარტთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზატორია მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური.

რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა იზრდება

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეკრეაციული სივრცეების მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. მინი სტადიონები და სკვერები ეწყობა სოფელ ტეზერსა და ხაშურში ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს.

„მინი სტადიონი და სკვერი თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა, განთავსდება დასასვენებელი სკამები, განათებები, სანაგვე urნები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწვანე ნარგავებს, მოეწყობა ფანჩატური, საბავშვო ატრაქციონები, დამონტაჟდება ტრენაჟორები. საერთო ჯამში, შეიქმნება სივრცე, რომელიც ყველა ასაკის მაცხოვრებლის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. გვინდა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში მაქსიმალურად მეტი რეკრეაციული და სპორტული სივრცე მოვაწყოთ,”- აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 354 300 ლარს შეადგენს.

აქტიურ ფაზაშია სოფელ ტეზერში, მინი სტადიონისა და სკვერის მშენებლობაც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

„პროექტს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვახორციელებთ. სკვერი ადგილობრივ მცხოვრებლებს გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს. აქაურობა განსაკუთრებით მოეწონებათ პატარებს, რადგან განთავსდება შესაბამისი სტანდარტებით მოწყობილი საბავშვო ატრაქციონები. დასასვენებელ სივრცეში დამონტაჟდება სკამები, გაკეთდება ფანჩატური, გარე განათება, ტერიტორია მოპირკეთდება ფილებით, იქნება მწვანე სივრცეები. ვზრუნავთ ჯანსაღი წესის ხელშეწყობაზე., მინი სტადიონი და გარე გამოყენების ტრენაჟორები სწორედ ამ მიზანს მოემსახურება“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას თენგიზ ჩიტიაშვილმა.

სოფელ ტეზერში, მინისტადიონისა და სკვერის მშენებლობის სამუშაოებს,მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს. პროექტის ღირებულება 328 500 ლარია.

- ხაშურის ხელოვნების სკოლის აღიარება -

ნონა თედიაშვილი თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვეს

თბილისი, არტ-ჰოლი, საქართველოს წარმატებულ ხელოვან ქალთა დაჯილდოების ცერემონიალი „ხელოვანები 2024“. ქართული სახელოვნებო სფეროს განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა ნონა თედიაშვილი.

ანსამბლ „ოქოს ფარის“ ქორეოგრაფი ნონა თედიაშვილი:

- ეს დღე უკვე სიამაყით სავსე ისტორიაა, რომელიც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას სძენს დარჩენილ სიცოცხლეს. ეს ჯილდო მიუთითებს, რომ არ გაჩერდე, კიდევ უფრო წინ წახვიდე და არასოდეს შეარცხვინო თამარ მეფის სახელი. იყო არა მხოლოდ წარმატებული შენს პროფესიაში, არამედ იყო ღირსეული ადამიანი ცხოვრებაში. სიცოცხლის ბოლომდე ძალიან დიდი პასუხისმგებლობას გვმატებს თითოეულ ჩვენგანს, ვიყოთ თამარ მეფის ორდენის ღირსები, ვიდრე ვართ ცოცხლები.

დაჯილდოების ცერემონიალი 2024 წლის 8 მარტს გაიმართა. სიმბოლურად დაჯილდოვდნენ ქალი ქორეოგრაფები. 15 ქალბატონი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ქართული ქორეოგრაფიის ცენტრმა. დაჯილდოების ცერემონიალის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. იმ დღეს თბილისის არტ-ჰოლში საქართველოს ქორეოგრაფი ქალბატონების თამარ მეფის ორდენით დაჯილდოებას ესწრებოდნენ ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საბჭოს წევრები, საზოგადო მოღვაწეები, სუხიშვილებიდან ოქროს თაობის წარმომადგენლები, ქართული ქორეოგრაფიის კორიფეები, მწერლები და პოეტები.

- ქალბატონები ჩვენს პროფესიაში ვინმეს ერთად შეეკრიბოს და დაეჯილდოვებინოს, ასეთი არ მომხდარა. ეს იყო პირველად საქართველოს ისტორიაში. იდეის ავტორი გახლავთ ქართული ქორეოგრაფიის ცენტრი და მისი პრეზიდენტი ბატონი ზაზა მჟავანაძე, იდეის განხორციელების ხელშემწყობი საქართველოს საპატრიარქო, რადგან წმინდანის ორდენია და საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად ორდენს ვერავის ვერ მისცემდნენ. ასევე მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და პირადად თეა წულუკიანი, რადგან ეს არის სახელმწიფო ჯილდო. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლებიც. ქართული ქორეოგრაფიის კორიფეები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პოეტები. დავჯილდოვდით 15 ქალბატონი თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან. იყო არაჩვეულებრივი საღამო, წითელი ხალიჩა, ფოტოსესიები, არაჩვეულებრივი კონცერტი. „ოქროს ფარს“ ხვდა წილად, ასეთი არაჩვეულებრივი საღამო გაგვეხსნა და პირველ ნომრად წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე. შეწვასრულეთ „სადარბაზო“, სამეფო ცეკვა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა და მონუსხა მაყურებელი ცეკვის ოსტატობით, კოსტიუმებით და მოცეკვავეთა სილამაზით. კონცერტის შემდეგ გაიმართა დაჯილდოვება. გადმომეცა თამარ მეფის ორდენი, ყველა ქალი ვიყავით უზომოდ ბედნიერი.

მე პირადად 6 წლიდან ვცეკვავ. დაახლოებით 43 წელიწადია ხელოვნებაში ვარ, 27 წელია პედაგოგის რანგში ვმოღვაწეობ, ამ ხნის მანძილზე თუ რაიმე მიკეთებია, თუ რაიმე წარმატებისთვის მიმიღწევია, ალბათ ამ ორდენად ღირდა იმდენად დიდი ბედნიერება მომანიჭა თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვებამ და ზოგადად, იმ ფაქტმა, რომ შენ გაფასებენ, შენ შრომას აფასებენ და მოხვდი მცირე რჩეულთა რიცხვში.

ნონა თედიაშვილმა „ოქროს ფარის“ მოცეკვავეებთან ერთად, აწ უკვე, თამარ მეფის ორდენოსანის რანგში, მეორე დღიდანვე აქტიურად გააგრძელა საქმიანობა, რეპეტიციები, მათთან ერთად გეგმავს უამრავ ღონისძიებას და ქალაქს მრავალ წარმატებას უანონსებს.

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.